შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი “

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № *01-01/27* *27* მაისი *2010* წ.

შეტანილი ცვლილება*:*

1. რექტორის *2010* წლის *2* დეკემბრის ბრძანება №*01-01/68*

საორგანიზაციო დეპარტამენტის დებულება

თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი”-ს (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საორგანიზაციო დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს (შემდგომში - დეპარტამენტი);

2. დეპარტამენტი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით;

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

დეპარტამენტის ამოცანებია:

2.1 ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტაციის დამუშავება და დანერგვა საქმის წარმოების გაუმჯობესების მიზნით;

2.2. დოკუმენტაციის ბრუნვის ოპტიმიზაცია და მათი ფორმების უნიფიცირება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში;

2.3. საქმისწარმოების უზრუნველყოფა და მასზე კონტროლი უნივერსიტეტის ქვედანაყოფებში;

2.4. ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინირება, დაკავშირებული საქმის წარმოებასთან და დოკუმენტების ბრუნვასთან;

2.5. რექტორის და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლი;

2.6. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საინფორმაციო მეთოდური და კონსულტაციური დახმარება საქმისწარმოებასთან და დოკუმენტების ბრუნვასთან დაკავშირებით;

2.7. რექტორის სისტემატური ინფორმირება დოკუმენტების შერულების შედეგებზე და მათ მიმდინარეობაზე;

2.8 უნივერსიტეტში შრომითი და ორგანიზაციული დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვა [illegible] კანონმდებლობის დაცვა;

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების საშუალებით უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების წარმოება;
2.9. არქივის მუშაობის ორგანიზაცია შესაბამისი წესებით, ინსტრუქციებით, საქართველოს საარქივო სამსახურის მეთოდური რეკომენდაციების მიხედვით.

მუხლი 3. დეპარტამენტის მართვა და სტრუქტურა

1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის შემადგენლობაშიც შედის კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, არქივი, სამედიცინო პერსონალი და სტუდენტებთან ორგანიზაციული მუშაობის მენეჯერი (ქვედანაყოფები).

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. დეპარტამენტის უფროსი ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ქვედანაყოფების საქმიანობას. უფლებამოსილია რექტორს წარუდგინოს წინადადებები ქვედანაყოფებში დასაქმებულ პირთა მიმართ წახალისების და პასუხისმგებლობის შინაგანაწესით გათვალისწინებული ფორმების გამოყენებაზე.

4. დეპარტამენტის ქვედანაყოფების საქმინობის წესი განისაზღვრება შესაბამისი განყოფილების დებულებით.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

საორგანიზაციო დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე. დებულებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს რექტორს, დეპარტამენტის უფროსს და იურიდიულ განყოფილებას.